№ 32

10 აგვისტო

# ივერია

1909 წ.

ფასი ერთი შაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან. წლის დალევამდი - 2 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

**ბალი რესტორანი**

**„ЮЖАНЕ“** (სამხრეთელები)

დვორცოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის თეატრთან - ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დღისით 2—4 საათამდის და საღამოს 9—2 საათამდის თფილისის საზაფხულო თეატრის საოპერო ორკესტრი ბ-ნ პ. **ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით. სადილი ორი ბლუდიდან ეღირება - 60 კაპ. 3-დან 80 კ. 4-დან—1 მან. აქვე არის საჭმელების სია და პრეისკურანტი ყველანაირის საგნებისა.

ფასები ხელმისაწდომია. **შესვლა უფასოა.**

ტფილისის საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის

**ფორტოპიანოს ამწყობი**

**გ. ლ. ხარიშჩაროვი**

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩა № 11.

**მიიღება შესაკეთებლად** ყოველგვარი როიალი და პიანინო პასუხისგებლობით **იყიდება** როიალიდან და პიანინოდან მტვერის **გამოსაზერავი.** ფასი 3 მანეთი.

კახეთიმევენახეთა ამხანაგობა

**სამრო**

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დ კლებულ ფ სებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

**სანატორიუმი**

ექ ვ. დ. ღამბაშიძისა

**პატარა ცემი ბაკურიანთან.**

## Харковскіе высшіе женскіе курсы

(Вознесенская ул. № 3).

Пріемъ прошеній на 1, 2 и 3 к. к. **Историко-Филологическаго** и **Юридическаго** факультетовъ (съ 3-годичнымъ курсомъ, какъ въ Импер. Моск. Лицеѣ) производится въ канцеляріи этихъ факультетовъ (Мало Гончарская, 2).

Пріемъ прошеніи на 1, 2 и 3 к. к. **Медицинскаго Факультета** (Клиники III курса оборудованы) производится въ Канцеляріи Медицинскаго факультета (Вознесенская, № 3). Прошенія подаются на имя Завѣдующей Курсами и адресуются въ Канцелярію избраннаго факультета.

При прошеній поступающими на I курсъ представл. подлин. док.: ат. 7 кл. гимн., инст., епархіальн. или равныхъ имъ по пограм. зав., метр свид. о рожд. (и брачное для замужнихъ), св. о политическ. благонад., 2 фот. и 1/2 год. плата (на медиц. фак. 200 р. въ годъ и на юридеч. и ист.-фил.—125 р. нъ годъ), и почт. марки для отвѣта, иначе прошенія не разсматриваются. Для поступленія на старшіе Курсы кромѣ вышеупомянутыхъ докумен. подается еще удостовѣреніе о зачетѣ семестровъ сооовѣтств. уч. зав.

На курсахъ преподаются теоретич. и практич. (для слушательн. всѣхъ фак.) латинскій яз. и новые языки: франц., англ. и нѣмецк,

**Лицамъ Іудейскаго вѣроисповѣданія курсы права жительства не даютъ.**

**კაფე პარიზი**

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის გზაში

(Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო

პირაჟოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

**ხაჭაპური**

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური




ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

**დამირავებას და გადამირავებას**

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8 1/2—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

**ქართული ხალხური სიმღერები და**

**ლექსები**

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფ. 50 კ.

**დაიბეჭდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს ახალი**

**ჩანგი**

თფილისის ხელის მომწერთ შეუძლიათ მიიღონ 13 აგვისტოს. პროვინციაში კი—20 აგვისტოს. იმ აგენტს ვისაც ფული არა აქვს წარმოდგენილი წიგნები არ გაეგზავნება.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ახალი

**ჩანგი**

წიგნი დიდი ზომისაა (500 გვერდი). დაკაზმულია ძვირფასი ყდით და ღირს მხოლოდ 1 მ. 30 კ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, სასიმღეროდ საოხუნჯო კუპლეტები, დრამატიული თხზულებანი და სხ. ჩვენი საუკეთესო ძველ და ახალგაზდა მწერლებისა. წიგნს ჩართული აქვს ქართველ მწერლების და მსახიობების 60 სურათი. წიგნით მოვაჭრეებს % % დაეთმობათ. ვინც ფოსტით გამოიწერს და 1 მან. 30 კაპ. ფულათ ან მარკას გამოგზანის მას გასაგზავნი ფული აღარ გადახდება.

**ადრესი:** Тифлисъ. т-во Сорапань. М. Гачечиладзе.

**თბილისი, 10 აგვისტო.**

სტოკჰოლმის გაფიცვა! ამ გაფიცვაზე ჩვენშიაც არა ერთი საგაზეთო მეთაური დაიწერა, არა ერთი სიტყვა დაიხარჯა, იქ გაფიცულთა სასარგებლოთ ჩვენებურმა არამკითხე ჰირისუფლებმა შეიძლება არა ერთი გროში გამოართვან გაძვალტყავებულ ხალხს, რაო და საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობა უნდა დავამტკიცოთო... ნამდვილათ კი ამ გაფიცვის მიზეზი და მნიშვნელობა ყველას თანასწორად გაგებული არა აქვს, ზოგს კიდევ ამ გაფიცვაზე შემცდარი შეხედულებაც ექნება... იქ, შვეციაში, უნდა გადაწყდეს საკითხი, რომელსაც ჩვენ აქ ვემსახურებითო? მუშათა კლასი იქ კაპიტალისტებს ებრძვის და თუ გაიმარჯვა ეს გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც იქნება, ჩვენში მუშათა კლასის გამარჯვების წინამორბედათ გამოდგებაო?

ასეა განა? შეიძლება განა ვიფიქროთ, რომ ის, რაც შვეციაში მოხდა, ჩვენშიაც განმეორდება, რომ იქაურ მუშათა კლასის სიძლიერე ჩვენებურ მუშების სიძლიერეს ამტკიცებს? შვეციაში ხალხის ერთი მესამედი ქალაქ ადგილებში ცხოვრობს, ამიტომ ქალაქ ადგილებში ვინც რჩება გამარჯვებული, ის არის გამარჯვებული სოფლადაც. ჩვენში კი ქალაქებში ხალხის ერთი მეათედი თუ სცხოვრობს, ისიც ბევრია. შვეციაში ხუთ მილიონ მცხოვრებზე თითქმის მილიონ ნახევარი, ე. ი. თითქმის ერთი მესამედი მუშათა კლასს ეკუთვნის, უმიწაწყლო პროლეტარია, ჩვენში კი ასეთი უმიწაწყლო მუშა, სოფელს მოწყვეტილი, რამე უძრავ ქონების არ მქონე ერთი მეათედიც არ არის. ამიტომ იქ, შვეციაში კლასთა ბრძოლას შეუძლია მილიონ ნახევარი ხალხი საერთო მიზნით შეაკავშიროს, ჩვენში კი ნამდვილ კლასთა ბრძოლას, კლასიურ მიზანს ასეთი სასწაული არ შეუძლია. ჩვენში ბრძოლისთვის საჭიროა სხვა დროშა, სხვა მიზნები, სხვა იდეალები.

სტოკჰოლმში მუშათა კლასმა თუ გაიმარჯვა, ეს იმას გვეტყვის, რომ იქ, სადაც მუშათა კლასი მრავალ რიცხოვანია, სადაც იგი ხალხის ერთ მესამედს შეადგენს, მას შეუძლია შეკავშირებულ მწარმოებელთა იერიშს გაუძლოს... მაგრამ ეს გამარჯვება ვერაფერს გვეტყვის იმაზე, თუ რა გზას უნდა დაადგეს მუშათა კლასი იქ, სადაც იგი სოფელს მოწყვეტილი არ არის და სადაც იგი ხალხის ერთ მეათედ ნაწილს არ აღემატება...

ჩვენებური სოც.-დემოკრატები დიდის ალტაცებით უმზერენ სტოკჰოლმის ამბებს. ამ ამბებით თავს ნუგეშობენ და ამით კმაყოფილნი არიან,—თითქო ამითი ჩვენში რამე საქმე გაკეთდებოდეს და მშიერ-მწყურვალე ხალხს ნაჭერი პური ან გროში ფული ემატებოდეს.

## ახალი ამბები და დეპეშები

**სევერიანე ჯუღელი** (1874—1909).

გუშინ დაასაფლავეს მეორე სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი, ჩვენში ცნობილი ს.-დემოკრატი სევერიანე ჯუღელი, რომელიც გაციებით გადაიცვალა. სუსტი გული ჰქონდა და ავადმყოფობა ვერ აიტანა. ს. ჯუღელი ადგილობრივ ქართულ პრესსაში სწერდა ვალენტინის, ნემეზიდაშვილის და სხ. ფსევდონიმებით. მანვე შეადგინა ლეტურანის სოციოლოგიის მიხედვით წიგნი „ველურება და განათლება“. მის გასვენებას დაესწრო მრავალი ხალხი, რომელიც დიდის მწუხარებით ეთხოვებოდა საყვარელ ამხანაგს. ბინიდან გამოსვენების დროს ზოგიერთ გვირგვინებს პოლიციამ ლენტები ჩამოაცალა.

◆ კავკაზიის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შვილებისთვის ტფილისში პანსიონის მოწყობას აპირებენ.

◆ სოფლები ანტოკა, გეორგიწმინდა, ბურდიანი, თოხლიაური, მანავი, ჩაილური, კაკაბეთი, ანაჩი და ბოდბისხევის მონასტრის ვენახები ფილოქსერისაგან თავისუფალი და [illegible]ალი გამოდგა.

◆ წრეულს ფრინველ[illegible]ები ერთი თვით დრე გადაფრინდენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ადრე აცივდება შემოდგომაზე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ განთავისუფლდა ოთხი სტიპენდია აბესალომოვის სახელობაზე დაარსებული, ერთი უმაღლეს სასწავლებელში, სამიც ტფილისის ქალთა გიმნაზიაში. სტიპენდიების მიღება ქართველებსაც შეუძლია. თხოვნები მიიღება 20 აგვისტომდის.

◆ კავკასიის ნამესტნიკი 22 აგვისტოს სოფ. გუნიბში (დაღესტანშია) ჩავა და დაესწრება აღმოსავლეთ კავკაზიის დაპყრობის 50 წლის იუბილეის დღესასწაულს.

◆ ბათუმის წყლის საყვანი კარგი გამოდგა, თითო სულზე დღეში 20 ვედრა წყალს იძლევა, ტფილისში კი მხოლოდ 10 ვედრას. წყლის ღირსებითაც ბათუმის წყლისაყვანი ტფილისისას სჯობიაო.

◆ ამ მოკლე ხანში ქ ფოთს მოუვა საჩუქრად უზარმაზარი ქანდაკება, ხელმწიფე ალექსანდრე II-ს ძეგლი, რომელიც ქალაქის უდიდეს მოედანზე დაიდგმის.

◆ ტფილისში 8 აგვისტოს გაქურდეს ერმოლაი ხავთასი. 400—500 მანეთის რამეები წაიღეს. გაქურდეს აგრეთვე ონან პარუნ სარქისოვი.

◆ პოლიციამ 7 აგვისტოს მეათე საპოლიციო ნაწილში 8 უპასპორტო დაიჭირა.

◆ 8 აგვისტოს მეტეხის ციხიდან გაიპარა ტუსაღი—იოსებ იანისი, რომელიც ციხის სახურავს აკეთებდა.

◆ **მელილლა.** ისპანიის სამხედრო გემს არაბები დაეცენ და ესპანელებს მოუკლეს 2, დაუჭრეს 6 კაცი.

◆ **სტამბოლი**. პარლამენტის სესსია გათავდა, ხელახლა გაიხსნება 1 ნოემბერს.

◆ „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის საქმეზე დღეადის 400 კაცზე მეტია ციხეებში დაჭერილი.

◆ **სევასტოპოლი**. გემ „პოტემკინზე“ კაჩეგრად ნამყოფ დავიდოვს სასამართლომ 14 წლის კატორღა მიუსაჯა.

◆ **პოლტავა**. დაიჭირეს ყალბი ფულის გამსაღებელი სპარსელები.

◆ **ქართული წარმოდგენა**. შაბათს, 8 აგვისტოს, ვერის აუდიტორიაში წარმოდგენილი იყო: „და-ძმა“ კარგები იყვნენ ანკარა, (მარინე) ი. იმედაშვილი (ოტია) ჭანკვატაძე (გაიოზი), პ. დადვაძე (ადამია) იორდანოვი, (გიორგი) ხანდოელი, (ფაშა) და მელიქოვი, (ყარაოღლი). ხალხი ბლომად დაესწრო მიუხედავად იმისა, რომ ადგილების ფასი მომატებული იყო. არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არა ვსთქვათ წეს-რიგზე. დიდი უწესოება ხდება მაყურებელთა შორის. ყვირილს, უწმაწურ სიტყვებს, არშიყობას, დასასრული არა ჰქონდა. საჭიროა ამას მიაქციონ ყურადღება თეატრის ჰირისუფლებმა. დასასრულ გაიმართა ცეკვა. ჩვენის აზრით სახალხო თეატრში ცეკვას, კონფეტებს და სხვა ამისთანებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. წარმოდგენა გათავდა ორის ნახევარ საათზე, ცეკვა კი ოთხზე.

### ჩემი დღიური

არა ერთი მაგალითი ყოფილა იმისა, რომ ძლიერი, გამარჯვებული ერი შემდეგ დასუსტებულა და სხვისი მონა გამხდარა. გაძლიერდა საბერძნეთი და დაეცა, გაძლიერდა რომი და დაეცა, გაძლიერდა ესპანია და დაეცა, გაძლიერდა და შემდეგ დაეცა არაბეთი, ოსმალეთი, თვით საფრანგეთიც კი,—ასეთი გაძლიერების და დაცემის ხანა ერგო ჩვენს საქართველოსაც...

აქ არ გვინდა გამოვუდგეთ ამ გაძლიერების და ამ დაცემის მიზეზების დაწვრილებით გარკვევას, სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პირობებში მცხოვრები სხვა და სხვა ერი ყოველთვის ერთსა და იმავე მიზეზებისა გამო არ ყოფილა გამარჯვებული ან დაღუპული... ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ზოგიერთი დამახასიათებელი მოვლენა, რომელიც თან მოზდევს გაძლიერების ან დაცემის ხანას და რომელიც ხალხის ზრდისა თუ შესუსტების მომასწავებელია...

უსაქმურობაში მყოფი, უსაქმურობის მძებნელი ერი არასოდეს არ გაზრდილა და არ დარჩენილა გამარჯვებული. საბერძნეთი, მაგ. დაეცა მაშინ, როდესაც თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა და დამონებულ ქვეყნების შრომით იკვებებოდა. დაეცა რომი, როცა ქვეყანა დაპყრობილი ჰყავდა და როცა რომაელის მაგიერად მისი მონა შრომობდა. ასევე დაეცა ყველა სხვა ქვეყანაც, როდესაც გაძლიერებული ფუფუნებაში ცხოვრებას ცდილობდა. და მაშინ, განებივრებული, იგი ყოველთვის გართულობას ეძებდა... ეს გართულობა საქმიანობას ავიწყებდა, უსაქმურ ხალხს საქმიანობის მაგიერობას უწევდა.

ჩვენ არ ვიტყვით ვითომც ქართველი ერი ყოფილიყოს ყოვლად უსაქმური, არა, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ სხვებთან შედარებით ქართველებს უსაქმურობა უთუოდ ეტყობათ. ქართველი ინტელიგენცია სომხის ინტელიგენციასთან შედარებით, მაგ. ყოვლად უსაქმური გამოდგა, მას არ შესწევს არც ცოდნა არც მოხერხება, რომ ხალხს გაუწიოს შესაფერი მეთაურობა. ჩვენებური ვაჭრები ქიშპობას ვერ უწევენ სხვა ეროვნების ვაჭრებს იმიტომ, რომ საქმიანობა არ ეხერხებათ, ჩვენებური მუშებიც სხვა ეროვნების მუშებთან შედარებით ჩამორჩენილნი გამოდგენ იმით, რომ საქმიანობას გაურბიან და ჰგონიათ, რომ პოლიტიკა საქმიანობის მაგიერობას გაუწევსთ.

მართლაც, ყოველგან, სადაც წინეთ ქართველი მუშა იყო, ახლა უცხო ტომელი მუშები არიან მიღებული, ის ლუკმა პური, რომელიც წინეთ ქართველს ერგებოდა, დღეს უცხო ტომელ მუშის ხელში გადადის.

ამის მიზეზი ერთის მხრივ უცხო ტომელ მრეწველ-კაპიტალისტების ეროვნული მიკერძოებაა, მაგრამ მეორეს მხრივ ამის მიზეზად ისიც უნდა დავასახელოთ, რომ ქართველი მუშა უცხო ტომელ მუშაზედ უფრო არის გატაცებული პოლიტიკოსობით, რომელიც მას საქმიანობას უშლის და თანაც არა სასურველ მუშად ხდის პატრონისათვის.

ხშირად ამბობენ, ქართველი მუშა ამ პოლიტიკოსობით სხვებზედ უფრო შეგნებული არისო და შეგნებული მუშა კი პატრონისათვის უფრო სასარგებლო უნდა იყოსო. ეს შეცდომაა, შეცდომა ის კი არა, ვითომც შეგნებული მუშა წარმოებისთვის კარგია, არამედ ის, ვითომც ქართველი მუშა შეგნებულია. შეგნება ის კი არ არის, მუშამ ორიოდე საპროგრამო წერილი გადაიკითხოს და პროლეტარიატის ხსენებით წითელი დროშა ააფრიალოს, შეგნებული და წარმოებისთვის სასარგებლო მუშა იმას ჰქვია, რომელსაც კარგად გაგებული აქვს წარმოების ყოველი წვრილმანი, რომელსაც ესმის მისი მუშაობის დამოკიდებულება წარმოების წარმატებასთან და თვით წარმოების წარმატების კავშირი მის საკუთარ კეთილდღეობასთან. ასეთი შეგნება ჩვენებურ მუშებს არა აქვს... ასეთი შეგნება ჩვენებურ მუშებში არავის არ გაუვრცელებია... ასეთი შეგნება აუცილებელია, რადგანაც უამისოდ შეუძლებელია მუშების საქმიანობა...

გამოტეხილი უნდა ვთქვათ, რომ დღეს ქართველი მუშა სხვებზედ უარესი მუშაა ისევე, როგორც ქართველი ინტელიგენცია სხვა ეროვნებათა ინტელიგენციაზე ნაკლებია. და როგორც უვარგის ინტელიგენციას ძნელად მოეპოვება ლუკმა პური, ისევე ძნელად მოეპოვება რამე საქმე ქართველ უვარგის მუშას...

ასეთი მდგომარეობა მეტად საშიშია. ულუკმაპუროდ დარჩენილი ინტელიგენცია, უსაქმოდ დარჩენილი მუშა, ხელმოკლე და ღარიბი ბურჟუაზია, ღარიბი გლეხი, ღარიბი ერი,—ეს სიღარიბე გადაგვარების და გადაშენების მომასწავებელია,—ამ გადაგვარებას და ამ გადაშენებას თუ გვინდა ვებრძოლოთ, აუცილებლად საჭიროა საერთო უსაქმურობასთან ბრძოლა, აუცილებლად საჭიროა მუშაობის დროს და მუშაობის მაგიერ პოლიტიკოსობას არ დავადგეთ და მეტის მუყაითობით და მეტის სიყვარულით ავასრულოთ ხოლმე ის საქმე, რომელიც ნაკისრები გვაქვს. ჩვენი შრომა საქმის შესაფერისი უნდა იყოს ხოლმე, რადგანაც უამისოდ იგი უნაყოფოც იქნება...

საჭიროა ამაებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ყველამ, ვინც ხალხის მეთაურობას კისრულობს... მეტი საქმიანობა თუ არ გამოიჩინა ქართველმა ერმა, იგი დაეცემა და დაიღუპება, დაიღუპება როგორც ერი, დაიღუპება, როგორც ეკონომიური და პოლიტიკური ძალა...

**შეთგელეური**

# სალდეისო

**სიზმარი იყო... მაგრამ ცხადიც მასთანვე!**

საღამო იყო, მშვენიერი საღამო იყო. ნაზი სიო გაღაღებული სიცხისაგან შეწუხებულ მიწას ეალერსებოდა. ბადრი მთვარე ის იყო ამოცურებულიყო ცის კაბადონზე და თავის ვერცხლისებურ სხივებს უგზავნიდა საბრალო ქვეყანას.

ამისთანა საღამო მრავალ ფიქრს იწვევს და ხშირად ოცნების ქსელში გაგხვევს, რადგანაც გსურს ამისთანა წყნარს საღამოს შენი სულიც, დაწყნარებული და აღტკინებული, შეუერთო და შენც საღამოს მყუდროებაში შთაინთქა.

აი, ამ საღამოსაც მრავალი ფიქრი, მრავალი აზრი ირეოდა და დაუსრულებელი ძაფისავით იშლებოდა. აწმყო ბნელი არის, მომავალი კი... ახალგაზდობაზეა დამოკიდებული: არა ლოთ, არშიყ და ლაზღანდარა ახალგაზრდობაზე, არამედ იდეურ, ბრწყინვალე იმედებით შემოსილ ახალგაზრდობაზე ვფიქრობდი მაშინ.

მაგრამ რა? მრავალი მათგანი სიმშილსიცივეს ვერ უძლებს და გაჭირვებაში დაბადებული სიღატაკეში სულს ლევს. ბევრია ამისთანა მაგალითები, მაგრამ ბევრმა არ იცის ესა!..

ბევრი სულ ვერ ახერხებს წავიდეს იქ, საითაც მას მისი მიწრაფება ეწევა, სადაც მას ხსნა და შვება მოელის. ბევრიც სრულიად უფულოდ მიდის რუსეთისაკენ დაიმედებული, თუმცა იმედი ყოველთვის იმედათ რჩება ხოლმე, არც მეტი და არც ნაკლები!..

„ფიქრებში გართულს ჩამძინებოდა.

ვნახე სიზმარი, რომელიც თითქო ცხადიც იყო.

ახალგაზრდა ყმაწვილი, მშიერ-მწყურვალე ნარით მოფენილ გზით სინათლესკენ მიეშურებოდა. ხელებ გაწვდილი იგი ყურადღებას არ აქცევდა თავის დაფრეწილ კანსა. უკან არ იხევდა ღონე მიხდილი. სიმშილს და სიღატაკეს ძვალტყავად ექცია ახალგაზრდა ჭაბუკი. მოელვარე, მაგრამ ხანდახან ნაღვლიანს თვალებში იმედი უკრთოდა, აი, მიუახლოვდა კიდეც თავის საოცნებო საგანს.,. მაგრამ უეცრად დიდი ნარი ფეხში დაესო და ღონემიხდილი ჭაბუკი მუხლზე დაეცა...

„მიშველე, დედავ!"—დაიძახა საბრალომ.

არავინ იყო, და გულისმზარავი ხმა ყრუდ გაისმა სივრცეში.

მაგრამ, აჰა! გამოჩნდა სინათლით მოცული ასული. ბროლის ხელები ჭაბუკისკენ გაემართა. შუბლზე გადუსვა ჭაბუკს სასოების ხელი და სინათლისკენ მიახედა.

„ნუ გეშინისო!" ნაზად უთხრა ასულმა ჭაბუკს.

გაქრა ასული. და ჭაბუკს მისი ამხანაგები შემოხვეოდენ გარშემო. ყველა დახმარებას პირდებოდა, ხელის შეწყობას. მაგრამ ყველას კუდი ჰქონდა გამობმული და დემონიური ღიმილი ცელქად ხტოდა მათ სახეზე...

რატომ?.. ნეტავ ვიცოდე, რათა?..

სეირნობას პირდებოდენ მეგობრები, კუდიანი მეგობრები.

აი, სეირნობაც! პატარა ბაღი გაჩირაღდნებულია. ხალხი ბუზივით ირევა. ყველა იცინის, მხიარულადაა. მშვენიერი საღამოა, თითქო ბუნებაც ხელს უწყობს ახალგაზრდას. იგიც მას შეჰხარის. მაგრამ კაცი... კაცი ყოველთვის წინ ელობება ჭაბუკს, ყველგან ხელს უშლის საბრალოს!..

რატომ? რისთვის, ნეტავ!?

ამაოდ შეჰყურებს ჭაბუკი ერთს კაცსა, რომელსაც თავზე ქუდი, ქუდზე „კაკარტა" მიუკერებია და ბატონად მოვლენია ამ კუთხეს! ამაოდ დახმარებას სთხოვს ჭაბუკი, რადგანაც ყველაფრის პასუხად მხოლოდ ერთი „არ არის! არ გვაქვს"-ო, გაისმის... და მოსაკაზმის მაგიერ ძველ ძონძებს აძლევს ჭაბუკსა. ვიღაც სამხედრო პირი აქეთ-იქით დაძრწის და მიწას დასჩერებია.

რათა?

„ნუ ანაგვიანებთ აქაურობას!"—უცებ წამოიძახა დიდებულმა. გავჩუმდი. დავნაღვლიანდი...

შეველი თეატრის დარბაზში.

ჟრიამულია. ყველა სკამები დაჭერილია. უცხო ქვეყანაში მეგონა თავი, ვინაიდან ეგოდენი ხალხი ქართულ წარმოდგენაზე არასოდეს არ მინახავს... მაგრამ აქეთ-იქიდგან დამარწმუნეს, ტფილისში ხარო და ეს შენობაც ქართული თეატრიაო.

შემრცხვა...

აიხადა ფარდა. მაგრამ... ღმერთო ჩემო! სულ სხვა ხალხი, სულ სხვა პირები გამოვიდენ სცენაზე. ამხანაგებს ეღალატათ, სხვაგან წასულიყვენ და მათ მაგიერ ეს ყმაწვილები გამოსულიყვენ.

საბრალოები! ხელოვნური თმა, რომელიც მსახიობთ თავზე ჰქონდა ჩამოცმული, დაფრეწილი, დანჯღრეული იყო...

„ერთმანეთს სცემეს ფულის გაყოფაზე!—ამიხსნა ჩემმა მეზობელმა, რა შემატყო სახეზე გაკვირვება.

„ეს—ტარასი მშიერაძეაო", მითხრეს, როდესაც საწოლზე გადაგორებული დიდი კოლოტი გამოჩნდა. მუცელი ძლიერ დიდი ჰქონდა. ეჭვი შემეპარა, ნუ თუ მართლა მშიერაძე იყო ეს გაბერილ მუცლის პატრონი!?.. აბაშიძე-მესხიაო, მაგრამ ვერ ვერწმუნე მე, ცოდვილი, რადგანაც ვერც აბაშიძე და ვერც მესხი ვნახე იმ საღამოს.

ამ საღამოსთვის ყველა განათლებულიყო. მსახური ყველა კილოზე ლაპარაკობდა. ალბად, იორდანესაც მეტი ერთგულობით მოსდიოდა ეს საჯაყი საქმე! თორემ ვინ იორდანე და ვინ „ესპერანტო"?!..

ხაშმელი ურიის გრიმიც გვაჩვენეს ამ საღამოს. მაგრამ სანახავი ჯერ წინ იყო. აგერ გამოჩნდა ვეებერთელა კაცი. მეგონა, ჩემპიონია და საჭიდაოდ ჩამოსულა ფილიპისთან. მაგრამ მოვსტყუვდი, რადგანაც ანტონ ვარდყინჩაძე აღმოჩნდა. ძალიან ყვიროდა. მისი გრგვინვით ცაზე ვარსკვლავები კრთოდენ... მიწა ზანზარებდა... ძლიერ გატაცებით ლაპარაკობდა, მაგრამ აქეთ-იქიდან მითხრეს, რომ ვ. გუნიას აზრადაც არ ჰქონია იმის დაწერა, რასაც ანტონი დიდის რიხით ბძანებდა...

ნუ თუ ჩვეულებისამებრ სტყუოდა?!..

„ერთგულებით, ერთგულობისაგან არის!"—ჩაჩურჩულებდა უცხო ხმა.

გარეთ კი ამ დროს საოცნებო ასულს დიდი ხროვა შემორტყმოდა და კბილებ გადმოყრილი უმზერდა მის სპეტაკ სახეს....

პატივსა სცემდენ ასულსა!...

„წააქციესო! წააქციესო!" — მომესმა უცებ ყიჟინა, რომელსაც გუგუნი მოჰყვა...

ვიღაცას დავეტაკე და ..

უცებ გამომეღვიძა... მაშ სიზმარი იყო?..

მაგრამ მომაგონდა ხუთშაბათის სეირნობა-წარმოდგენა და მწარედ თავი ჩავქინდრე...

სიზმარი იყო, მაგრამ ცხადიც მასთანვე!...

**ძველი ნაცნობი.**

## სალამი სამშობლოსადმი გარდახვეწილისაგან

ლექსი პროზად

(თავისუფალი თარგმანი)

მეგობარო, სალამი გადაეც ჩემს სამშობლოს! ბედნიერო, განთავისუფლდი და ვით ფრინველი, რომელმაც იგრძნო ჰავის შეცვლა, მისი სიმკაცრე,—მიისწრაფვი სამხრეთისაკენ გამაღლებული!.. მე გამახსენდა მწყობრი გუნდი წეროებისა, ცაზედ გაკრული რომ მიჰყვებოდა თვისსა ბელადს. დაჟინებითა და დიდის ხნით მათ შევყურებდი: ერთი წერო უცბათ ჩამორჩა მოძმეთა ძაფს... ჩამორჩენილმიტოვებული, თვის დაშავებულ ფრთით, ჯან-ღონით სავსე ამხანაგებს ვეღარ სწვდებოდა და მათ შორის მანძილი თანდათან დიდდებოდა. მაინც თავ განწირვით მიილტვოდა და მისძახოდა და რამდენი ხვეწნა-მუდარა შესაბრალისი და კაეშანი ამ ძახილში იხატებოდა!.. ბელადი კი დინჯათ, შეუდრეკლად ჰაერს აპობდა, შავი ფრთოსანნიც მას კვალ და კვალ მწყობრად მისდევდა... წინ წასულთგანაც მოისმოდა დრო გამოშვებით ძახილი, საპასუხო, სამშვიდობო და სევდიანი, მაგრამ არ მობრუნდა და არც შეჩერდა არვინ მათგანი. საბრალო მაინც, მოცახცახე ფრთის წყნარისა ქნევით, არა ცხრებოდა და სულ ნელა წინ მიიწევდა... მე აღმიძრა მწარე გრძნობა: აშკარად ვხედავდი; „აღთქმულ ქვეყანას" ავადმყოფი ვერ იხილავდა...

მასსავებრ მეც არ შემიძლია, რომ შენ გამოგყვე, თუმც კარგათ უწყი, რომ მთლად ჩემი გული-გონება მოილტვის იქით: სამხრეთისაკენ... სამშობლოსაკენ. სადაც პირველად დამებადა ტკბილი ოცნება, სად არა მტოვებდნენ ყრმისა ნათელი სიზმრები; თავს მევლოდა დედის ალერსი, ხმა მეგობრული, სადაც ვიგრძენ წმიდა, ნამდვილი მე სიყვარული... იქვე, ა-ვის ჩეროებ ქვეშ, მშობელთა

# ფელეტონი

## „წკიპურტი"

№ 10 გასართობი გაზეთი № 10

### პირველყოფილი დრო

**უნიჭოთ** თუ ბუნებას შენთვის **გამედიდურება** რაიმე ნიჭი არ მოუმადლებია, ციური ცეცხლი გულს არ აღგზნობია, დღე და ღამე არ გაგისწორებია და ყოველი წუთი თავისუფალი დროსი სწავლისათვის არ მოგიხმარებია, რომ მით გეხილა ნათელი ღვთისა,—ნუ დაღონდები: გამბედაობა ხომ გაქვს და სირეგვნე გახლავს!.. თუ არც ეს შეგწევს მოხსენ ბაგენი და:

შეაჩვენე და გალანძღე ქვეყნის წინმსვლელობისათვის წამებულნი, დაუწუნე ნამოქმედარი, ნამოღვაწევი...

აბუჩად აიღე ჭეშმარიტ მოღვაწეთა ქმნილი, გაჰკიცხე და გააბათილე მათი ნაშრომი ..

ხმა მაღლა იმსჯელე, წარბ შეუხრელად და ეცადე ჩირქი მოსცხო ტაძარსა წმიდას.. იმათ, რომელთაც ამ დუხჭირ ცხოვრებაში სიკეთის მეტი არა უთესნიათრა...

მწიკვლი მოსცხე ყოველი მუშაკის საკურთხეველს, ცეცხლი წაუკიდე დიდების ტაძარს, წმიდათა წმიდას ..

ბრბო შენ შემოგხედავს, წმიდანად, უბიწო მოღვაწედ დაგსახავს: მართალი და უანგარო რომ არ იყოს, ასე რა აალაპარაკებდა...

და შენ მეტი რა გინდა?..

უყეფე სპილოს, ამას მაინც იტყვიან შენზე: ჰხედავ, რა გულადი ყოფილა ეს ფინია, რომ სპილოს ეომებაო..

ასე განვლე შენი ცხოვრების გზა და... გონებას ნუ აამუშავებ,—ატრიალე ენა...

აზრს ნუ დასძრავ,—აღიძარ ქვენა გრძნობა..

სინიდისს ნუ დაეკითხები,—მიჰყე გულის თქმასა...

და ამგვარის გზით, ასეთის ტაქტიკით ქვეყნის თვალში ერთ რამე იქცევი..

რა ვუყოთ, რომ ბუნება არ გწყალობს, არც ცოდნა გაქვს, არ ხარ მბრძანებელი,—მაინც უნიჭო გამედიდურდები...

დრომ შეგვასწრო რეგვენთა ბატონობას და შენც უნდა იბატონო, შენის გახრწნილი ცხოვრებით, მოშხამული გრძნობით, ურწმუნო გულით, ყალთაბანდური ენის ლაქლაქით და მლიქვნელობით შეჰბღალო ყოველი და ყველანი...

### სასცენო კუპლეტები

—

გინდა იყავ ნიჭით სრული,
დიდის ცოდნით გაბრძნობილი,
უხაკველი გქონდეს გული,
ჭირ-ვარამში გაწრთობილი,
ხალხისათვის განწირული—
ქვეყნად იყო შენ შობილი,
თუ არ გფარავს ვისმეს თვალი,
არ გექნება მომავალი...

—

ცხოვრების გზა ნარეკლებით,—
ვინ არ იცის,—მორთულია
წამებულთა სისხლით, ძვლებით
ასპარეზი მოფენულია,
გზას გვიღობვენ მკვიდრ კედლებით
წინ წაწევა დახშულია,
ხოლო თუ რომ გვფარავს თვალი
ჩვენი არის მომავალი!..

—

პროტექციით ყველა არი:
სიყვარული, სიძულვილი;
პროტექციით ჩნდება ქმარი,
თუ გინდ ცოლი, გინდა შვილი,
პროტექციით ცოცხლობ მკვდარი.
პროტექციით სუნთქავს ჩჩვილი,
და თუ არა გფარავს თვალი,
არ გექნება მომავალი!..

—

„პარტიაში" მიბრძანდები?
პროტექცია დაგჭირდება,
მწერლობა გსურს?—წინ ვერ სდგები,
თუ არავინ გეხმარება;
ველარც მოძმეს ეხმარები,
პროტექცია თუ არ გყვება,—
თუ არ გწყალობს ვისმეს თვალი,
ნუ გწამს გქონდეს მომავალი!..

**იზიძე**

### წერილი რედაქტორთან

—

ბიძია ფირუზ წკეპურტაშვილო!..

ძაან ზრდილობიანი კაცი ვარ, თვარა უარი უნდა მესტკიცა შენს თხოვნაზე. რავა გეკადრება, შე მამა ცხონებულის შვილო! მწერ:—„თომა პუსა!—მოგვწერე რამეო"... რაფერ მოგწერო, ჩემო კეთილო?—

სიცხე მაჭირებს,
გაჩნდა ბუზები,
ქალაქს მოშორდა
დიდი ტუზები...
მე ზამთარ-ზაფხულს
აქ ვიტუზები:—
ზამთარს ყინვისგან,
ზაფხულს სიცხისგან
აქ ვიკუზები...
ნუ გაიკვირვებ,
თუ გამიფრინდეს
სიტყვის მუზები!..

ისტევე ძველ დავთარს თუ გადმოვაბრუნებ და უკვე შეთხზულს და ჯერეთ დაუსტამბავს რამეს გამოგიძებნი, თვარა, თუ ცოტა არ აგრილდა, პირობას ვერ მოგცემ—ახალ-ახალი რამე მოგაწოდო.

ამას წინათ

ქალაქმა ცნობა მიიღო,
რო მოდისო დიდი კაცი!
შეიქმნა ფხეკა ქუჩების...
არიქა, ვინ ხარ მამაცი!
აივანზე გამოფინეთ
ხალები, ბაირაღები!
ღამე თუ დარჩეს,—ყოველგან
აანთეთ დიდი ჭაღები,
გაასპეტაკეს ქალაქი,
ვით ბელატი კაცის თავი...
თვალისათვის ნამდვილ იყო
სასიამო სანახავი!..
მალე წავიდა სტუმარი...
გაჩნდა ნაგავი, მტვერია,
სიბინძურეში ჩაეფლა
ქალაქი მშვენიერია,

ახლა ვფიქრობ:—ასეთ სტუმრის
ჩამოსვლა რო იყოს ხშირი,
ეგება აღარც გვეწვიოს
უარესი ჟამი, ჭირი...

—

კიდო ამას წინათ ზესტაფონზე გავიარე. მალადეც!—თქვა, ვთქვი გუნებაში და ვუძღვენი ეს ქათინაური.

ზესტაფონო!—გშორდებიო,—
მოგაძახა მარგანეცმა!
ეს სუყველამ დაინახა—
თვალ ხილულმა და თვით ბეცმა,
როცა აქეთ მოისპო
შავ ქვის ურმის ჭრიალი,
შორაპანზე დაიწყო
ვაგონებმა სრიალი,
თქვენს ჯიბაში ნაკლებაა
ოქრო-ვერცხლის ჩხრიალი,
აღარც ძველებურია
ხალხის ხრიალ-ღრიალი!
მერე კიდე გადაგწვეს!..
მალე გაშენებულა!
ჯერ ყოველგან ღმეა ..
არსად გათეთრებულა...
მარა ჯიბის—არ ვიცი—
ძაან გათხელებულა..
გახსოვს—მუშათ პარტია!..
დიდი დაგდვა ხარკია!..

ასეა, ჩემო დაია, ტასია ხარ, თუ ბიძია ფირუზა! მე და შენ თავში თუ არვინ გვდრუზა...

შენ წკიპურტს სცემ,
მე—პანღურებს,
ბევრი თვალებს
მიპაყურებს...
ყველას თვალი დაეკუსა,
ცოცხალია

**თომა პუხა.**

### მოწერილი ამბები

—

ვ ე რ ი ს რ ა ი ო ნ ი. გასულ კვირას, როგორც გავიგეთ, ვერის ბაღებში მოჭიდავე ქალებს დიდი ქეიფი გაუმართავთ. ქეიფს მოჰყოლია ჭიდაობა. ერთ მოჭიდავე ქალი რომ შეზარხოშებულა „ძაჰლა" წაუღია:—თუ ყოჩაღები ხართ დამეჭიდეთო. ამ დროს შემთხვევით გაუვლია არლანჩიკ „ბაბაჭუას" და დასთანხმებულა. ჭიდაობა გაგრძელებულა სამ წუთს... ერთი „მოგვერდით" ბაბაჭოს ძირს დაუცია მოპირდაპირე და გვერდები სულ ერთიან მიულეწ-მოულეწია. დანჯღრეული მოჭიდავე ქალი ერთ გრგვალ ულვაშ გაპარსულ კაცს (ბოროტი ენები გადმოგვცემენ, ქართული თეატრის აქტიორი იყოვო) მუხლებზე შესმული და ყვავილებში ჩაფლული, დრრროგით წამოუსვენებია „იუქანეს" საყუდელში.

**მხიარული მკვდარი**

—

რ უ ს ე თ ი ს შ ო რ ე უ ლ ი გ უ ბ ე რ ნ ი ე ბ ი. აქ ხალხი საკმაოდ გაიჟუჟა... ვაკანსიები გაიხსნა... **ჰმ!**

—

რუსეთის სტახტო ქალაქებიდან. ამ მოკლე ხანში დაარსდება კავკასიელ სტუდენტთა-მებანქოეთა და ლოთობანათა კლუბი. კლუბის წევრს უნდა ჰქონდეს სიმწიფის მოწმობა ე. ი. რუსულ ლუდსაც ისე უნდა შეეწყოს, როგორც კახურს... და უნივერსიტეტში ლექციებზე სიარულის დროსაც ბანქო და „პოლბუტილკა" არაყი უბეში უნდა ჰქონდეს. სამეცნიერო წიგნების ყიდვა აკრძალულია. **ხი, ჰო!**

—

რ ა ჭ ა. როგორც შევიტყეთ ზოგიერთა მოქეიფეთა ორგანიზაციას უფიქრია დააარსონ შკოლა და სადღეგრძელოების მასწავლებლად ცნობილ ხეჩა — ტურა მოიწვიონ. **რაჭველი შურდული**

—

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი. რადგანაც საზაფხულო ქართულ თეატრში ტანისამოსის შესანახი არ არის გაკეთებული და ორ-ორ შაურს კი მაინც ახდევინებენ ხალხს. მაყურებელთ გადაუწყვეტიათ შემდეგ წარმოდგენაზე ყველანი შუბებით და კალოშებით მივიდენ და ისე დასხდენ. **ფიე!**

—

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. ქალთა დელეგატების კონგრესმა დაადგინა: განათლებას ხელი მივყოთო, და გამოიწერეს ფერ-

ნაშთია და იქ ყოველი სათაყვანო და ძვირფასია.

როცა თვალს მოჰკრავ ზურმუხტოვან, ლაჟვარდ, ნათელს ცას, დღისით ბრწყინვალეს, მოცინარეს, ღამით უძიროს, ღრმას, მოჭედილს ელვარე, სევდიან ვარსკვლავებით; როდესაც ნახავ თვალთ-უსწორო, მეფურ-ლამაზ მზეს, რომლის სხივებიც უვლენს ყოველს შვება სიხარულს; როს ნახავ მზის ჩასვენებას მეწამურ-გაფუებულს, მასვე მოღიმარეს, მკრთალ ვარდის ფრად ამოსულს,—მომიგონებ შენსა მეგობარს აქ გადმოღუპულს...

შენს თვალთ წინ მთები ბუმბერაზნი წარმოდგებიან,—ღრუბელ მოცულ თავებით ცას რომ მიბჯენიან. ადი, უეჭველად აცოცდი ერთ-ერთ მწვერვალოზედ,—დაღლილობას არ შეუშინდე და არც გაექცე. რას იხილავ და რა სურათი წინ გადგეშლება! შენი გონება, ვით მუხრუჭებს თავ-დახწეული, მძლავრი და თავისუფალი, როგორც ის არწივი, შენ ზემოდგან წყნარად რომ დაიწყებს ჰაერის პობას,—გაიწევს მაღლა, ზეცისაკენ, გალაღებული... თავში აღსდგება პატიოსნური, სათნო აზრები, გულში ჩამოკრავს, დაიჟღარუნებს წმიდა სიმები!.. ახლად იშვები და თვით ღმერთთან ახლოს იქმნები. და იგრძნობ კაცის მოწოდება-დანიშნულებას!.. იქავე შენ აღმოხდება ძლევა-მოსილი ყიჟინი და პირმცინარე ამაყი და ხალისიანი დაეშვები დაღმართ-დაღმართ ადამიანი..

ოჰ, ღმერთო ჩემო,— იქ ხომ ჩემი სამშობლო არი!..

განცხრომას ჰპოებ გარინდებულ მწვანე მდელოში, სად მშვიდი მწყემსი ფარას დარაჯობს ჩაფიქრებული და გასცქერის რა შორს, ღუღუნებს რაცხას ნაღვლიანს.

იცი კი რას!?.

როდესაც ღამე ეფარება მთლად დედამიწას და მშვიდი მთვარე კაშკაშ ნათელში ახვევს ქვეყანას, შენ იქ ყურს მოჰკრავ სალამურის სევდით მკვნესარ ხმას. ხმა იგი უნებლიეთ სადღაც შორს გატაცებს და ცხოვრებაში გრიგალსა გავლილს,—ბევრისა მნახველს, გაგიშუქებს რა წყნარი, ნათელი ღიმილი სახეს,—რიდით მოიწმენდ თვალისაგან გადმოვარდნილს ცრემლს. ცისა შემყურე მთელ იმ ღამის სმენად იქცევი: უცნობი, ნაზი ალერსი მოიცავს შენსა გულს; უსიტყვო ლოცვა აღგძრება მოჯადოვებულს და მოგიცავს რა ცხოვრების ფიქრი სამარადისო,—შენს მტრებთადმი მაშინ განიცდი პატივებას სრულს... მე განდევნილმა ის სიმღერა ერთხელ ვისმინე და თან გამომყვა, ჩემ გულშია ღრმად დაჩნეული!.. შენ იხილავ, უსაზღვროთ ერთმანეთზედ გადაბმულს, ხეხილის ბაღებს და მწვანე ზღვებს ვენახებისას; შენ შეჩერდები გაკვირვებით მთის კოხებთანა, მერცხლის ბუდესებრ რომ მიჰკვრიან ფერდებს კლდეებისას. შენ შეხვდები უშიშარს მხედარს, როცა ჩვეულს ცხენს თავბრუ-დამსხმელ მთის ბილიკზედ ის მიაქროლებს!.. იქაური პატრიარქალური, მარტივი ყოფა, ფუქად, არარად მოგაჩვენებს ჩვენს ბობოქრობას.

განცვიფრებულ-აღელვებული შენ შესდგები, როს გაგეშლება უსაზღვრო სივრცე ცის ფერი ზღვისა; დიდხანს დაჰყე იმის კიდესთან, ნუ მოშორდები: მრავალ გვარადა სხვა და სხვაობს, ცვალებადია, როგორც კაცის მგრძნობარ გული, აღშფოთებული! მის სივრცე გხიბლავს და გიზიდავს შეუკავებლად, განაზებს, გართობს და გიმღერის საალერსო ხმებს; ტალღებისა წყნარის ტლაშუნით ნერვებს გიმშვიდებს. მის კიდეზედაც გამოწექი და დასცქერდი: თვით აზიისა სიღრმიდგან ზღვა მოგაგებებს რბილსა ტალღებს, კიდის ქვიშს შხ რაშხურითა თეთრ აფრიან და მოუსვენარ ნავთა რწევითა. როცა ზღვა მძლავრი, გაშმაგებულ გაავთრებული, თვის გამოურკვეველ გულის სიღრმიდგან დაიქუხებს: აავრებს უშველებელსა თებისებრ ტალღებს, როს მედიდურ ღაიღრიალებს, დაიხმაურებს; როცა ამაგი, შფოთიანი მოუსვენარი, პრჭყვიალა წვეთებს სროლას და უწყებს ფრიალო კლდეს,—მეტი აღფრთოვანებისაგან სულ შეხუთული, უნებლიეთ თავს მოუხრი მის სილამაზეს!.. საუკუნებ გამოვლილი ზღვა, მისი წიაღი, პასუხს გასცემს შენს მოუსვენარს, დავაღლებულს გულს...

ჩემო ზღვაო, დაუვიწყარო, საკვირველო ზღვავ, მოვალ ოდესმე შენს კიდეზედ, კიდევ გიხილავ?!. მეგობარო, სალამი გადაეც ჩემს სამშობლოს! უთხარ, რომ დიდი ხნის უნუგეშო ჩემს განშორებას, არც ერთი ხანი ძვირფას სახის არ წარუხოცავს: ჩემ ხსოვნაში მარად ვატარებ იმისა სახელს და ცივ მხარეში დაშორებულს, უიმედო ტყვეს, გული მიკვნესის და ვიტანჯები დაუსრულებლივ; ილაჯ მომწყდარი, ავადა ვარ, აღარც რწმენა მაქვს, დარდს შევეთვისე, მომავალი აღარ მესახვის, მხოლოდ ვიმედნობ, რომ ჩავეკვრი სამშობლო მიწას უთხარ სამშობლოს, შუქმფინარეს, სასიხარულოს, რომ როცა შემოდგომა-ზამთრის მთელი დღეები ვზივარ მარტოკა, დაღონებით ბნელსა სარკმელთან, რომელს ცრემლივით ეცემიან წვიმის წვეთები; როცა მომესმის შემოდგომის ღმუილ-ზუილი,—მე მუდამ ვწვალობ და და ერთავადა ვიტანჯები: მე უბედურს მეზმანება თბილი, ბრწყინვალე მზე და ზღვა ცის ფერი. მოლივლივე და მედიდური...

**გ. ახალციხელი.**

## კმარა სიცრუე!

(ბ. ბურჯანის წერილების გამო (ხ. „ივერია“ №№ 26, 27, 28 და 29)

„ადამიანი თავიდან აიცდენს უბედურებას, რომელსაც ზეცა მოუვლენს; მაგრამ თავს ვერ დაიხსნის იმ უბედურებისაგან, რომელსაც თითონ უმზადებს თავის თავს“.

**აღმოსავლეთის ანდაზა**

როგორც მკითხველი საზოგადოება ხედავს, ბ-ნი ვარლამ ბურჯანაძეც (ობჩელი) ბევრს წვალობს და ბევრს ხრიკებს ხმარობს, რათა თავი იხსნას იმ უბედურებისაგან, რომელიც მან შეუმზადა თავის თავს 1907 წელში მოსკოვში პედაგოგიურ კურსებზე ყოფნის დროს თავის თავზე ყალბი წერილების შეთხზვით გინცბურგის (ხელმძღვანელი იყო კურსების) სახელით. მიუხედავათ იმისა, რომ გაზეთ „დროების“ 26 ნომერში, განსაკუთრებით კი „შინაურ საქმეების“ 15 ნომერში მკაფიოდ და გარკვევით იყო აღნიშნული შინაარსი იმ სამედიატორო სასამართლოსი, რომელიც მოხდა ჩემ და ბურჯანაძის შორის 20 ნოემბერს 1908 წ. და რომელმაც დამნაშავეთ სცნო ბ. ბურჯანაძე ზემო აღნიშნულ ყალბ წერილების შედგენაში და კიდევ ბევრ სხვა რამეებში, ეს ვაჟბატონი გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამომდგარა და მართლა რომ ურცხვად და უტიფრად გაიძახის: „მე არაფერი დამნაშავე ვარ, ცილი დამწამეს, თავზე ჰორები მომახვიესო“ და სხვა, თანაც კუდ მოგლეჯილ გველივით იკბინება. განსაკუთრებით მისი „გესლიანი“ ენა ჩემსკენ არის მომართული, ალბათ იმიტომ, რომ მისი სულელური თავმოყვარეობა ვერ შერიგებია იმ გარემოებას, რომ მე აღმოვაჩინე და გამოვამჟღავნე მის მიერ ჩადენილი სიყალბე და მით ვამცნე საზოგადოებას, თუ რა დაწვრილმანებული პიროვნება ყოფილა ბ. ბურჯანაძე, ის ბურჯანაძე, რომელსაც ამ რამოდენიმე წლის წინათ ქვეყნის მხსნელათ, პოლიტიკურ მოღვაწეთ და კორპორაციის მესვეურათ მოჰქონდა თავი. მე არ შევეხები დღემდის ბურჯანაძის და მისი მომხრე ვექილების მიერ დაბეჭდილ წერილებს. არ შევეხები იმიტომ, რომ დღემდის ბურჯანაძე თავის მომხრეებით გაიძახოდა, ჩემსა და აბზიანიძის შორის არავითარ სასამართლოს არ ქონია ადგილიო. (იხილე „დროება“ №№ 40 და 72) ახლა კი, როდესაც იმ კომპეტენტურ სამედიატორო სასამართლომ, რომლის განაჩენით ამაოდ სცდილობს ბურჯანაძემ თავი იმართლოს, დაადასტურა (იხილე განაჩენის პირველი და მესამე მუხლი, „დროება“ 102 ნომერი) „აბზიანიძე-ბურჯანაძის შორის სასამართლოს ჰქონია ადგილი და ნაცვლიშვილს სისწორით გამოუქვეყნებია განაჩენიო“, ეს ვაჟბატონი საზოგადოების თვალის ასახვევად სულ სხვა რამეთი სცდილობს თავი იმართლოს, სახელდობ იმით, რომ სამედიატორო სასამართლომ განაჩენს გაუკეთა შენიშვნა, რისი არც საბუთი და არც უფლება არ ჰქონდა, რაც მე უკვე დავუმტკიცე პატივცემულ მედიატორებს ჩემი წერილით („შინაური საქმეები“ 19 ნომერი). მაშასადამე ბურჯანაძის და მისი მომხრეების მიერ დღემდის დაბეჭდილი არც ერთი წერილი პასუხის ღირსი არ არის. ისინი გაბათილებულია სამედიატორო სასამართლოს განაჩენის მირველი მუხლით. მე მხოლოდ დაწვრილებით გავარჩევ ბურჯანაძის უკანასკნელ წერილს (იხილე „ივერია“ №№ 26, 27, 28 და 29) და ვეცდები წერილობითი საბუთებით დავამტკიცო ამ თვალთმაქცურათ სიყალბეზე, უმეტესად ქი სიცრუეზე, აგებულ წერილის უშინაარსობა და ფუქსავატობა და სრულიად გავაქარწყლო იგი. მაშ ჩავყვეთ კვალ და კვალ და ვამხილოთ ბ. ბურჯანაძე. მაგრამ რა გამოვიდა?! განა ისეთ ადამიანს, რომელიც თავის სახელზე თავისივე ხელით ყალბ წერილებს სწერს, სინდისის სასამართლოს უარ ჰყოფს, განაჩენს იტაცებს და სპობს, სხვისი უმართებულო ლანძღვა-გინებით ცდილობს ჩირქი მოიერცხოს. რისიმე შერცხვება? განა ასეთს ადამიანს შეუძლია რაიმე კაცობრიული გრძნობა გამოიჩინოს, სინდისის ქენჯნა იგრძნოს ანუ გაწითლდეს მაინც? არა. ამ გვარ ადამიანებს ყოველი გრძნობა დაჩლუნგული აქვთ. მათ მხოლოდ მხეცური, ავაზაკური გრძნობა და მისწრაფება ამოქმედებთ. ბურჯანაძის წერილში სავსებით გამოსჭვივის მისი სულის კვეთება: ის ბრაზმორეული ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიძახის: „ნ. მესხს არ ქონდა უფლება ჩემს ჯიბეში ჩაეყო ხელი და ყალბი წერილები ამოეღოვო, ნაცვლიშვილს კი არ ქონდა უფლება ეს ამბავი გამოექვეყნებიაო“ და სხვა. კარგი და პატიოსანი, ბ. ბურჯანაძევ, არც მე და არც სხვა ვინმე არ ვამართლებთ ნ. მესხს, ვთქვათ არც ნაცვლიშვილს ჰქონდა გამოქვეყნების უფლება, მაგრამ ეგ მითხარით, თქვენ კი გქონდათ იმის უფლება, რომ ჩუმათ ყალბი წერილები დასწერეთ მოსკოვში, იქედან ჩამოსვლის შემდეგ ქუთაისში გაავრცელეთ ხმა ვითომ თქვენზე მოსკოვში ქუთაისიდან „დაბეზღება მოვიდა, რაც თქვენ ვითომ წერილით გაცნობათ გინცბურგმა, კომისიის წევრთან „დაბეზღების“ ავტორათ მე დამსახეთ, რათა ჩირქი მოგეცხოთ ჩემთვის და კომისიის თვალში გაგეშავებინეთ? რათ დასჭირდა ყველა ეს სამარცხვინო ოინები ბ. ბურჯანაძეს,—ამას მკითხველი ქვეით დაინახავს. ჯერჯერობით დაუბრუნდეთ ისევ მის წერილს. „28 აპრილს შესდგა სასამართლოს შემდეგი შედგენილობითო, მოგვითხრობს ბურჯანაძე, თავმჯდომარე დავით კლდიაშვილი, წევრნი: დავ. ავალიანი და ნ. ჩიქოვანი. მასწავლებლები ლორთქიფანიძე, ჩადუნელი და კაკაბაძე იცავდენ თავის წერილს და ამტკიცებდენ, რომ ნაცვლიშვილს არ ქონდა ზნეობრივი დაარც იურიდიული უფლება დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებისო და თან აღიარებდენ თავის გულუბრყვილობას და შეცდომ ს წინ დაუხედავ მოქმედებაშიო“ (მე მგონია ზემოხსენებული ამხანაგები ერთს

---

ფერ-უმარილი, მელი, გუნდა-ლახუსტაკი, მური, ახალი მოდის ბალიშები და სხვა და სხვა...

**ჩოჩორი**

—

**გორი.** როგორც გაზაფხული დადგება ჩვენ გორელებს, მოსვენება აღარა გვაქვს: ვინც არ მინდა აიღებს თავს მოადგება გორს წარმოდგენების გასამართავად. გასულ კვირას გვეწვია ოთხი დასი. ხალხი ძლიერ ნაკლებად დაესწრო ისე, რომ ხარჯიც ვერ დაჰფარეს. არტისტების ამიტომ გინებით, აყალმაყალით, გორელების დამცირებით სურამს გაემგზავრენ. ვნახოთ იქ როგორღა იქნება... ძალა წაიღეს რაღა!..

**ვა! ვა! ვა!**

—

**ბახმარო.** წრეულ ბახმაროში საქმე ჩინებულად მიდის გვეწვია თფილისის დასი ურუშაძის წინამძღოლობით. ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება. ჩვენ არას დროს არ გვახსოვს ასე მწყობრად და ჩინებულად დადგმული პიესები როგორც წრეულს იყო. ყველაზე დიდი ყურადღება „მიიპყრო“ იხრახაძემ ითამაშეს „ეხლანდელი სიყვარული“, „უბედური ნაბიჯი“, „იორიოს ასული“, „პარიზელი ბიჭი“, „რუკი ვერხი“, ოთხი ოხერი“ და „კალოშები“.

**შარვლის პუგვიცა**

## ფეშქაში.

—

ვაჭრებისა კანტორა,
„იასემ“ მოიშორა,
ეხლა შიგ ზის „ანდრია“,
თუმც მან თავი ანჯღრია
მაგრამ მაინც საქმეებს
ვერაფერი გაუგო,
და ჩვენ „სოსიკოს“ ფულებს
ანდერძი ვერ აუგო.

**100 ქანქარი**

## ჩემს სატრფოს

—

ნუ თრთი, ლამაზო,
ნუ ეძლევი დარდებს მჭმუნვარეს!
ნუ სტირი, ტურფავ,
გთხოვ, ნუ აფრქვევ ცრემლსა მდუღარეს!
მომეცი ხელი,
მო, მოეკარ მკერდსა მღელვარეს!
მტკიცე კავშირით
გავუმკლავდეთ ყოველს ძიმწარეს..,

*
*

ნუ, ნუ ღალატობ
ჩვენს სიყვარულს, ჩვენცს ფიცს და აღთქმას,
ობოლმა გულმა
უთვისტომოთ აწ რა უნდა ჰქნას?
არ ვუკრთი, ღმერთავ,
უვიცთ ყაყანს, მათ მითქმა-მოთქმას,
თუ შენ, ღვთაებავ,
გააცხოვლებ ამ ჩემს გულის თქმას.

**ი. გრიშაშვილი**

## გასართობი.

—

**კატო.** ნუ თუ შენ ისევ ერთგული ხარ შენი მეგობრის?

**დიზა.** დიახ.

**კატო.** მერე არ გეშინიან, შენი ქცევით თავი მოაბეზროთ.

* * *

**სონა.** განა თავი დაგანება შენმა ვალოდიამ“.

**ელდო.** როგორ?

**სონა.** მაშ დღეს სად გაემგზავრა ბარგი-ბარხანით?

**ელდო.** თავს რათ დამანებებდა?.. ის წავიდა დილომს ჯვარს დაიწერს და ისევ ჩამომივა.

* * *

**კოლა.** ჩემო „ნინიჩკა“ რატომ არა გჯერა, რომ მე შენ მიყვარხარ?.. მე ხომ მთელი ჩემი ქონება შენ შემოგწირე.

**ნინო.** მერე რა უყო? ეგ მხოლოდ იმას მიმტკიცებს, რომ შენ სულელი ხარ... და შენი ჩემდამი სიყვარულს კი ჯერ ვერ ვხედავ?

* * *

**უმცროსი მოხელე.** თქვენო აღმატებულებავ, ჩემი ცოლი, მე მღალატობს.. ვიღაცა სამ საჟენიანი აფიცერი.

**უმფროსი მოხელე.** აფიცერი... ააა! მაშასადამე მეც ე. ი. ორივეს გვღალატობს!..

* * *

**ახალგაზრდა ქალი.** დედაჩემი მწერს, რომ მე უკვე ისეთ წლოვანობაში ვარ, რომ შემიძლიან გავაბედნიერო ყოველი მამაკაცი. ახ.., ნეტა იცოდეს, რომ მე უკვე გავაბედნიერე მამაკაცი... და განა ერთი...

* * *

**დექსო.** ნეტა ვიცოდე, მარუსი, რას აკეთებთ, როდესაც თქვენ ორნი მარტოთ-მარტო რჩებით?

**მარუსა.** სულ იმის ფიქრში ვართ რომ არ შემოგვისწროს მესამემ.

???

## ჭრელ-ჭრელი ტელეგრამები.

—

**სპარსეთი.** სპარსეთის შაჰინ-შაჰი ყმაწვილი მბრძანებელი აცხადებს: სანამ არ გამაგებინებთ, რასა ჰქვიან „მეჯლისი“, ხალხის წარმომადგენლობა, როვოლიუცია, კონსტიტუცია, პროსტიტუცია და ჰარამხანა, მანამდის დედასთან უნდა ვიცხოვროვო და რუსეთისკენ უნდა მოვკურცხლო იქ უფრო კარგი „იგრუშკებია“ და ბევრიც მექნებაო.

**ოსმალეთი.** სხვისი ბატონობა იმიტომ დავამხეთ, რომ ჩვენ ვიბატონოთ.

**შორეული გუბერნიები.** მშვენიერი საავარაკო ადგილებია: ყოველ დღე შიმშილით ასში ოთხმოცი პლექდება, სიცივით 99 იყინება...

**სათათბირო.** ახალი მოდის ჩინოვნიკები ჯერ არ შეგროვილან. შემოდგომაზე შეგროვდებიან თუ არა,—უპირველეს ყოვლისა, თავიანთ (დუმის დეპუტატების) ჯამაგირების ხარჯთ-აღრიცხვას დაამტკიცებენ.

## კითხვა-პასუხი

— ვის უწოდენ სოციალისტს?

— იმას, ვინც თანამედროვე არსებულ წესწყობილების უარმყოფია.

**ზოლდიცეილი.** მე ვაჩვენებ იმათ!!!

*
* *

**სოციალდემოკრატი** (ფიქრში გართული) რა ვქნა, მე ხომ ნაციაა არა მწამს, მაშ რომელ ენაზე ვილაპარაკო?!

*
* *

## ორი მესაიდუმლე

— მამაგიცხონდა ამიხსენი: რას ჰქვიან თავისუფლება?

— თავისუფლება ისეთი რამ არის, რომ ყველაფერში შენი ნება უნდა იყო, როგორც ღვინის სმაში, ისეც კარტის თამაშში.

— ოჰიმე! რა კარგია და!

**კ. გულიაშვილი.**

## „წკიპურტის“ ფოსტა

—

**კლაპიტონს.** მივიღეთ თქვენი ლექსი ბ-ნო კლაპიტონო მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ სრულებით არ შეგვფერით ამას რომ ბძანებთ:

გავტეხე თეფში, რომ გაზეთებში,
ის წავიკითხე, გავშეშდი ვით ხე
ვნახე... ოხ, ვირო... რაც გინდ იყვირო
არა და არა, არა და არა.

ბევრი ვიწკუპურტეთ... მაგრამ ვერც თავი გაუგეთ და ვერც ბოლო, ნეტა ერთი გაგვაგებინოთ რა შუაშია ან თეფში, ან ვირო, ან რაზედ ბძანებთ: „არა და არაო“ ამიტომაც,მეექვსეთ რომ აღარ შეგვაწუხოთ, უკანასკნელად ჩვენც, ჩვენის მხრით მოგახსენებთ:—ვერ დაგიბეჭდავთ, ვერ დაგიბეჭდავთ!— „არა და არა, არა და არა“..

**გოდორს.** თქვენი ლექსი ბ-ნო გოდორო,—ნუ გაგვიწყრებით და წაგვის გოდორში გადუძახეთ.

**მაჭატას.** თუ ფირუზას ხათრი გაქვთ, ნუღარ გვაწუხებთ. თუ დედაშენი ბაქოშია და აღარ ჩამოდის... ჩვენ რა უყოთ? თუ შენი სიძე გიშლის არშიყობას, შენი და გცემს, კოლა და ციციკოც გაცხარებს ხოლმე მერე ჩვენ რა შუაში ვართ?! პოლიციას მიმართეთ...

**დანჯღრეულს.** გთხოვთ ბ-ნო დანჯღრეულო, ტვინს ნუ ინჯღრევთ და შენს სისულელეს ძალა-უნებურად, ნუ გვაკითხებ.

—

**გ. ფ—ლს.** შე დალოცვილის შვილო, განა რაც დაიწერება სუყველა დაიბეჭდება?!. რა უყოთ? ისევ თქვენ უნდა მოითმინოთ... „ეშმაკისგან წიხლი ნუ გეწყინება!“ დამშვიდდით!..

—

**ბოლოკს.** იწერებით: თუ არ დაბეჭდავთ ხელთ-ნაწერი შემინახეო. კეთილი და პატიოსანი, შენახულია.

—

**ონოფრე ა—ძეს.** თქვენი ლექსი მიმინომ ნახა და ძრიელ ბევრი იცინა. განსაკუთრებით იმ ადგილს სადაც ამბობთ:

ჩავიცვი წინდა-პაჭიჭი
გავქუსლე ჩემი ტაიჭი,
არიქა ანდრო დაიჭი და სხ...

მიუხედავათ იმისა, რომ შენი ლექსი მთელმა „საწკიპურტო“ კოლეგიამ მოიწონა მაგრამ... ჩვენი ფირუზა მაინც დიდი წინააღმდეგია დაბეჭდვისა...

## განცხადება

ამ ახლო ხანში გარდაიცვალა
**ქართ. დრამ. საზოგადოება**
პანაშვიდები ყოველ კვირაა დილასაღამო „პურ-ღვინოს სასტუმროში“ და „იუჟანის“ ბაღში.
დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

რედ.-გამომც. **ფირუზ წკიპურტაძე**

კარგს შეუკურთხებდენ თავიანთ გულში ბ. ბურჯანაძეს ამ გვარ დამცირებისათვის) მერე და ამისთანა ადამიანებით მასწავლებლების სახელს უნდა ატარებდენ ბ. ბურჯანაძევ? ახლა წავიკითხოთ იმ სამთა ძმათა გულუბრყვილოთა ის წერილი, რომელსაც, როგორც ბურჯანაძე სწერს, ისინი იცავდენ სამედიატორო სამართლის წინაშე. „ნაცვლიშვილი ცილს გვწამებს (იხ. „დროება“ მე-40 ნომერში) ვითომ ჩვენ გაგვერჩიოს აბზიანიძის და ბურჯანაძის საქმე“. „ვითომ“ სწერენ ეს გულუბრყვილო ვაჟბატონები, ესე იგი არ გაგვირჩევია. ასე ამ გვარათ გაზეთის ფურცლებზე უარს ჰყოფდენ სასამართლოს, ხოლო პატივცემულ მედიატორეების წინაშე უხერხულათ სცვნეს (შეიძლება შიშით ველარ გაბედეს, ამის გამოცნობა ძნელია) სასამართლოს უარყოფა და განაცხადეს, მართალია სასამართლოს ქონდა ადგილი აბზიანიძე-ბურჯანაძის შორის, მაგრამ სასამართლოს განაჩენი აჩქარებით მოგვივიდაო (ალბათ ასე დაარიგა ბ. ბურჯანაძემ ეს გულუბრყვილო, უკეთ რომ ვსთქვათ საეჭვო მედიატორეები) ახლა ვნახოთ, რაოდენათ ხელსაყრელია ბურჯანაძისათვის იმ კომპეტენტურ სამედიატორო სასამართლოს დადგენილება, რომლის უმთავრეს მუხლებს გვერდს უხვევს ბურჯანაძე და განაჩენის შენიშვნას ჩასჭიდებია. ამ ჩემ მიერ გაბათილებულ შენიშვნაში პოულობს ვითომ ხსნას ბურჯანაძე. „გაჭირვებული კაცი ხავსს ეჭიდებოდაო“ სწორეთ ამაზეა ნათქვამი. პირველი მუხლი განაჩენის გვეუბნება: „აბზიანიძე-ბურჯანაძეს შორის სასამართლოს ჰქონია ადგილიო“. (ეტყობა სიტყვის „სამედიატორო“ ამ პატივცემულ მედიატორეებსაც შინებიათ) მესამე მუხლი რაღას მოგვითხრობს? ოი, საშინელებავ! „ნაცვლიშვილს „დროების“ 26 ნომერში სასამართლოს განაჩენი სისწორით გამოუქვეყნებიაო“. ახლა ვნახოთ და ერთხელ კიდევ ბ-ნ ბურჯანაძის, ამ ცრუ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწის სამარცხვინოთ და მისი დაწვრილმან-დახურდავების დასამტკიცებლათ გავახსენოთ მკითხველს, თუ რა აღმოაჩინა სამედიატორო სასამართლომ 20 ნოემბერს 1908 წ. და შემდეგ გაზეთ „დროების“ 26 ნომერში გამოაქვეყნა ლადო ნაცვლიშვილმა (ბზვანელმა), რომელსაც შეურაცხყოფა მიაყენეს ბურჯანაძემ და ჩადუნელმა (და არა ამხანაგებმა, როგორც ბურჯანაძე სწერს) მითი, რომ განაჩენის ორიგინალი მოსტაცეს და მოსპეს:

1) „როდესაც მეოთხე სკოლაში გაიხსნა გამგის ადგილი, ვარლამ ბურჯანაძეს მართლა შეცდომაში შეუყვანია ნიკო მესხი იმის შესახებ, რომ ვითომ ნიკო აბზიანიძესთან იგი შეთანხმებულიყოს და მისთვის დაეთმოს აბზიანიძეს ეს ადგილი, 2) როგორც სჩანს საზოგადო ჩვენებიდან და გინცბურგის წერილიდან, მართლა ვარლამ ბურჯანაძეს მოსკოვში ყოფნის დროს შეუდგენია ყალბი წერილები და გაუვრცელებია ტყუილი ხმები ქუთაისიდან მოსულ მასზედ დაბეზღების შესახებ. 4) ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ გრიგორ ქორქაშვილთან (კომისიის წევრია) ყოფნის დროს, ერთად ნიკო მესხისა, იქვე დაბადებია ნ. აბზიანიძეზე, როგორც ქუთაისის „დანოსის“ ისე მოსკოვის ცრუ დაბეზღების შედგენის შესახებ; თუმც ამასთანავე ქუთაისის „დანოსი“ გუბერნატორთან ვსცანით „პროვოკაციათ“. მერე რა მიუსაჯა სასამართლომ ბურჯანაძეს? უბრალო ბოდიშის მოხდა ჩემთან კორპორაციის თანადასწრებით, მაგრამ ბურჯანაძემ, როგორც „დიდმა საზოგადო მოღვაწემ“ თაითაკილა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, თავის დამცირებათ მიიჩნია, კორპორაციაში მოსვლა და ჩემთან ბოდიშის მოხდა, მაგრამ ძვირათ დაუჯდა ეგ სულელური თავმოყვარეობა. ბურჯანაძეს რომ სასამართლოს განაჩენი შეესრულებია, მაშინ არც ლადო ნაცვლიშვილს ექნებოდა, რასაკვირველია, უფლება არც ზნეობრივი და არც იურიდიული განაჩენის გაზეთში გამოქვეყნებისა. მე მგონია თვით მედიატორეებს უნდა ეცნოთ საჭიროთ თავიანთი განაჩენის გამოქვეყნება, ვინაიდან ბურჯანაძეს საზოგადო მოღვაწეთ მოჰქონდა თავი. „აბზიანიძე ხელმეორედ არ გამომყვა სამედიატორო სამართალშიო“. მე სამედიატორო სამართალში მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოგყვებით, თუ თქვენი მედიატორეები კაკაბაძე და ლორთქიფანიძე, თავმჯდომარე ჩადუნელი თუროთ საქვეყნოთ აღიარებენ გაზეთის ფურცლებზე, რომ ისინი გულუბრყვილო და საეჭვო ხალხია, თვინიერ ამის კი 20 ნოემბერს 1908 წ. მომხდარ სასამართლოს განაჩენი, თავის ძალაში რჩება და „სასტიკ პასუხის გებაში იქნება მიცემული ყველა ის კერძო პირი, თუნდა რედაქცია, რომელიც მოინდომებს მის გაბათილებას“. „დიდის ჯახირით და პროტექციით წერილი დაბეჭდია თავის ვექილს და შემდეგ ეს წერილი აბლაკატური მოხერხებით ქალაქის გამგეობას ჩაუგდო ხელშიო“. ალბათ თქვენც ბევრი ჯახირი და პროტექცია (მგონი ქრთამებიც) დაგჭირდათ, ბ. ბურჯანაძევ, გაზეთ „ამირანის“ რედაქციაში, რომ ჩემი წერილი დაახევიეთ. რა უნდა ამით სთქვას ბურჯანაძემ? ის რომ ქალაქის გამგეობა და კომისიის წევრები გაზეთებს არ კითხულობენ და „დროების“ 26 ნომერი ჩემის მეცადინეობით ჩავარდნიათ ხელში. მერე და ამისთანა კომისიის (რომლის წევრები თურმე, ნუ იტყვით, გაზეთებსაც არ კითხულობენ) „დასკვნებით“ სარგებლობა ხომ თავის დამცირებათ უნდა მიიჩნიოს ისეთმა საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწემ, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ბ. ბურჯანაძევ! მარტო სურვილი და უშინაარსო წერილების ბეჭდვა არ კმარა იმ სიყალბის გასაბათილებლათ, რომელიც თქვენდა სამწუხაროთ გაზეთ „დროების“ 26 ნომრის ფურცლებზე შავი ასოებით არის აღბეჭდილი. საბუთები წარმოადგინეთ, თუ გაქვს, ბ. ბურჯანაძევ, საბუთები. ცრუ მოწმეებს ნუ ასახელებთ და მელიასავით თქვენივე თავი ნუ მოგყავთ მოწმეთ. განა ცრუ მოწმეების გარდა რა სახელი შეიძლება უწოდოს კაცმა ისეთ პირებს, რომლებიც მედიატორობას კისრულობენ, განაჩენზე ხელს აწერენ, განაჩენს კორპორაციის წინაშე კითხულობენ და ორი თუ სამი თვის შემდეგ კი გაზეთის ფურცლებზე აცხადებენ, რომ არავითარ სასამართლოს არ ჰქონია ადგილი აბზიანიძე-ბურჯანაძის შორისო.

„შინაური საქმეების“ 19 ნომერში აბზიანიძე უსამართლობას სწამებს კომპეტენტურ სასამართლოს და კრიტიკას უშვრება მის დადგენილებასო“. მერე თქვენ რა გნებავს, თუ გგონიათ იმ სასამართლოს მედიატორეებიც გულუბრყვილონი არიან და თქვენს ვექილობას საჭიროებენ? თუ ჩემი კრიტიკა უსაბუთო ყოფილიყო, ისინიც შესძლებდენ პასუხის გ ცემას. მე ჩემს წერილში უსამართლობას არავის არ ვწამებ, პირიქით მათი განაჩენის მესამე მუხლმა „ნაცვლიშვილს სისწორით გამოუქვეყნებია სასამართლოს განაჩენიო“ სამუდამოთ გამოგაცალათ ფეხქვეშ ნიადაგი. მე მხოლოდ შევეხე განაჩენის იმ შენიშვნას, რომლითაც ალბათ მედიატორეებს სურდათ ცოტათი მაინც შეემსუბუქებიათ თქვენი ასეთი არა სასურველი მდგომარეობა. ცხადია ეს იყო თქვენი მათთან მთელი ერთი საათის საიდუმლოთ ბაასის შედეგი.

(შემდეგი იქნება)

**ნიკო აბზიანიძე**

# თეატრი

**ქართული წარმოდგენა და ჭიდაობა.** ხუთშაბათს, 6 აგვისტოს ქართ. მსახიობთა ამხანაგობამ წარმოადგინა საზაფხულო თეატრში „ადვოკატი მელაძე“. შეიძლება, ეს ანაქრონიზმი ბევრს მასხარობა ეგონოს, მაგრამ ასე კი იყო. ძველი ნათამაშევი პიესა, ძველი მოთამაშენი! მაგრამ არ მგონია, რომ სადმე ეთამაშათ ასე სუსტად და ულაზათოდ რომელიმე პიესა. რად დასჭირდა „ამხანაგობას“ ეს ძველი პიესა? ეს მისი საქმეა. მაგრამ მაყურებელიც უნდა ებრალებოდეს. როლი არც ერთმა მოთამაშემ არ იცოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმედაშვილს-ხაშმელს, რომელმაც პატარა როლი (სესიკა) გვარიანად შეასრულა. ვერაფერი ადვოკატი მელაძე იყო კ. მესხი, რომელმაც როლი სულ არ იცოდა.

გაუგებრობით თუ აიხსნება, თორემ რა ადგილი აქვს სცენაზე ისეთს კაცს, რომელსაც ქართული ენისა არა გაეგება-რა? ჩვენ ძლიერ ვეჭვობთ, რომ მას ხელოვნებისაც ესმოდეს რამე, თორემ როგორ ეკადრება კარგს მსახიობს „ჯამბაზობა? თეატრში „ხომ საჯამბაზოდ არ მოსულა“?! (ივანიძის სიტყვებია. ამ საღამოს იხმარა პიესაში!!!) ბ. საფაროვზე მოგახსენებთ. ჩვენ არ გვახსოვს მისი შექმნილი ტიპი. მაგრამ სხვისაგან შექმნილ ტიპსაც კი უსათუოდ ამახინჯებს.

დასასრულ, სად უნახავთ ბაზარში ის გოტიური შენობები, რომელიც ამხანაგობამ ამ საღამოს დასდგა დეკორაციებად?... მოქმედება ხომ ტფილისშია და არა ჰამბურგში ან სხვაგან სადმე? მაგრამ ფიქრობენ, ქართველი მაყურებელი ყველაფერს ადვილად მოინელებსო!.. ხალხი ბევრი იყო, თუმცა ეს მით აიხსნება, რომ ამ საღამოს უკანასკნელად ჭიდაობდენ ქალები და საზოგადოებაც ხარკის მოსახდელად მისულიყო.

**გატეხილი სკამი.**

## ბიბლიოგრაფია

**გიორგი მთაწმინდელის სამოციქულო**

(№ 34, XI საუკ.)

წიგნში 255 ფურცელია. რამდენიმე ფურცელი ქაღალდია, დანარჩენი—ტყავი. იწყება წინასიტყვაობით: ათანასის ბრძანებით ვიღაც სწავლული ბერი მუხლ-მუხლად ჰყოფს სამოციქულოს, უკეთებს მაჩვენებლებს და შენიშვნებს, თუ ვინ და ვინ აღწერა ეს თუ ის წიგნი. მერე იწყება „საქმე მოციქულთა“ და სხ. წიგნები. ტექსტი სრულდება აკროსტიხონით, რომლის კიდურ ასოებით სდგება ფრაზა: „დაესრულა პავლე. ქრისტე შეიწყალე ცოდვილი გიორგი“ (გიორგი მთაწმინდელი † 1066).

დიდებულო ქრისტეს მოციქულთა თაო
ახალსა ამას ერსა საღმრთოსა
ეკლესია ნესტუად ხმა ტკბილად
საღმრთოი სჯული დაგვიმტკიცე, ნეტარო
რამეთუ ძვირი ულთოებისა განჰფხუარ
უმაღლეს უფროის წმიდათა მოციქულთა
ლირწებაი ღმერთთაი დაანთქ ქვესკნელთა
აღხედ სამოცამდე ლუთივ სწავლულ იქმენ
აცხოვნენ კაცნი, იხსენ სოფელი
ვ . . . ⎫
ლ . . . ⎬ სამი სტრიქ. გადალეულია
ე . . . ⎭
ქებით დიდებაი შენი თანა გუა : ც
რამეთუ მხსნელმან ქრისტემან ჩინებულ გვიყ : ო
ისრად ვალავისა, ენად ცეცხლისა : დ
სამებისა დიდებაი ღუთისმეტყველ ჰყა : ვ
ტომთა და თესლთა შთააცუნ თვალი : ი
ეკლესია ჰყავი შენ ამაღლებუ : ლ
შაბათნი დაჰხსენ, დააცხვრე სჯულ : ი
ერთ არსებისა ბრწყინვალე ქადა : გ
იოტე ბნელი, მტერი დასთრგუნ : ე
წესთა ზესკნელთა წარჰხედ წმიდა : ო
ყოველთა ღუთისა პირას წარმდომ ხა : რ
აწარმართე . . . . . . . : გ
ლ . . . . . . . . : ი

ხუცურის ხელით (ფ. 111—112):

ქ: ჩვენ: ბარლაძე: ნიქოზელმა: ჟამთა ვითარებისაგან: მიშლილმოშლილიყო: ნიქოზის: საყდრის მამ-ლი: ძველი: სიგლებიც იყო: მივედით ჩვენ: შანაოზ მეფესთან: ისევა: წყალობა: უყო: საყდარს: მისცა სამზღვრის: სამზღვრამდის: ვენახზე: კულუხს: ვილებდით: უწინაც: ასე იყო; ვინც: ნიქოზელი დაჯდეს; თქვენც: ასე იქმოდეთ: ასე გაგვირიგებია: ვინც: ეს მოშალოს: ხთისაგანც: დაწყევლილი: იყოს: და ჩვენგანც შეჩვენებული: იყოს:

ქ: ჩვენ: **ნიკოლოზ:** ნიქოზელ: ეფისკოპოზმა: მივედით: ხვთივ გვირგვინოსან: მეფე თეიმურაზსთან: იმანა: ასე დაამტკიცა: და სიგლებიც გვიბოძა: და: გაახლა: ბარითა და კულუხითა: სამძღვრის სამძღვრამდი: ვისაც: ქონდა: ან შალიკაშალიკაშვილისა: ან ფავნენისშვილისა: ამისი: მამული: ყოველს გამოართვა: და სიგლებიც: გაახლა: ისევ: საყდარს: დაუვა: პირველთაგანაც: საყდარსა: ყოფილიყო: ვინც ეს მოშალოს: ხემწიფისაგან: გარიგებული: ხთისაგანმც: დაწყევლი: იყოს: და ჩვენგანმც: შეჩვენებული იყოს:

ქ: ჩვენ **ზებედე** ნიქოზელმა: მივედით ხვთით გვირგვინოსანს მეფე ერეკლესთან და როგორც სხვა მეფეთაგან იყო გარიგებული ისე იმან დაგვიმტკიცა და სიგლებიც გაგვიახლა და კულუხითა სამძღვრის სამძღვრამდი. არას კაცსა სანიქოზელოს მამულში ხელი არც უწინ ქონია და არც ახლა აქვს. ვინც ეს ხემწიფეთა და ჩვენგან გარიგებული მოშალოს, ხთისაგანც დაწყევლილ იყოს და მოციქულებისაგანც და ჩვენგან შეჩვენებულ იყოს:

4817 წელს ზემონიქოზის ღვთაების დეკანოზად ნაჩვენებია (გვ. 91) ათანასი მაჭავარიანი.

ტექსტში საკმაო განსხვავებას ვპოებთ. შეადარე: (საქმე 1,1):

№ 909 ჵ ღთის მოყუარეო
№ 34 ჵ „ „
დაბეჭდ. ჵ ღმრთის მოყუარეო თეოფილე.
სომხურში მარტო „ჵ თეოფილე“.

(საქმე 1,3)

№ 909: მრავალითა სახითა (1,3)
№ 35: „ „
დაბეჭდ. მრავალთა ჭეშმარიტთა სახითა.

(საქმე 2,9)

№ 909: პართნი და უეიკნი და ელამიტელნი (2,9).
№ 34: „ „ „
დაბეჭდ. პართნი და მიდნი და უეიკნი და ელამიტელნი
სომხურშიაც „პართნი და მიდნი და ელამიტელნი“.

„უეიკნი“ არ არის არც ბერძნულში, არც ლათინურში, არც სლავიანურში. ძველს ჩვენს მატიანეებში უეიკებად მოხსენებულნია შუამდინარელნი. (სუზიანელნი) და აგრეთვე ქართველნი. მცხეთა იყოო უეიკთა ქვეყანაში. თვით ივრის ხეობაც სუჟეთად წოდებულია.

**მ. ჯ.**

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ხერხეულიძე**

## განცხადებანი




ბუხგალტერია

ვისაც სურს გაეცნოს იმას, თუ რა ნაირად ვასწავლი მიწე-მოწერით იტალიანურ ბუხგალტერიას და კომერციულ სხვადასხვა ცოდნას, იმათ გავუგზავნი პროსპექტს და ერთ სანიმუშო ლექციას უფასოდ.

Я. Ю. Маркъ ქალაქი ლიბავა




GRAND PRIX
1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.
1865 წ. დედამიწაზე საუკეთესო 1896 წ.
კალოშები
სამ კუთხედით
1860.
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.
რუსეთ-ამერიკის სარეზინომანუფაქტურის ამხანაგობა
ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“
ს.-პეტერბურგში
სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.
იყიდება ყველგან